



№ 14  
1916

კვირა,  
3 აპრილი



კომპ. კ. შოსთამიაშვილი.  
დღეს, 3 აპრილს, „სახელობა სახლში“

# სსსპ ბანკი

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის  
საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს

რომ თანახმად ბანკის დამფუძნებელთა და აქციონერთა დადგენილებისა,  
უველა აქციონერი, (ვისაც შემოტანილი აქვს პირველი გადასახადი აქციის 10  
პროცენტი ე. ი. თითო აქციაზე 25 სანეთი)

**ვალდებულია** შემოიტანოს მეორე ხვედრი გადასახადი აქციის 40 პრო-  
ცენტი ე. ი. თითო აქციაზე 100 (ასი) მანეთი ანა 80-  
მდინარე წლის 10—20 მაისამდის.

ხელის მოწერა და ფულის შემოტანა მოწყობილი იქნება იმავე წესით და  
იმავე ადგილებში, როგორც პირველი ხვედრი ფულის შემოტანის დროს იყო.  
ოც მაისის შემდეგ ფულების მიღება შეწყდება. დაწვრილებითი ცნობები  
ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბანკის მთავარი

საორგანიზაციო კომიტეტი

მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა სარაჯიშვილის სახლი

№ 6ს აურთიერთო სამეურნეო ბანკის სადგომში.



№ 14

წელიწადი  
მ ი ო თ ხ ე

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлиси, Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

№ 14

კვირა, 3 აპრილს

1916 წ.

# უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

III

რას წარმოადგენს ეროვნული საკითხი ქართველი დემოკრატიისათვის, როგორი უნდა იყოს მისი შინაარსი?

ქართველი ერი სცხოვრობს განსაზღვრულ მიწა-წყალზე, მას უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია.

აქ დაწყებულია მისი ისტორია, აქვე განვითარებულია მისი კულტურა, აქ უცინია, აქ უტირია მას, აქ იბრძოდა და ოცნებობდა ის, აქ ძგერდა და ძგერს მისი გული, ამ მიწა-წყალთან იყო, არის და იქნება შეკავშირებული, შედუღებული მისი სიყვარული, მისი სიხარული, მისი ნატვრა, მის იმედები.

ერის არსებობისათვის, ერის კეთილდროობისათვის მარტო კულტურა კი არ არის საჭირო, საჭიროა მიწა-წყალი და ამ მიწაწყლის მთლიანობის დაცვა.

როდესაც ამბობენ: ერს ახასიათებს მარტო კულტურა და არა ტერიტორია მიწაწყალი, ეს შემცდარ აზრათ მიმანია.

ყოველმა დაწინაურებულმა ერმა თვისი კულტურა განავითარა, თვისი სულის სიმდიდრე გადაშალა განსაზღვრულ ადგილზე და ამიტომ შეცდომა იქნება ვამტკიცოთ, ეროვნულ ცხოვრების ზრდა-განვითარებაში ტერიტორიას მნიშვნელობა არა აქვს.

ქართველი დემოკრატიის, როგორც ყოა

ველი ერის დემოკრატიის მიზანია მისი ზრდა-განვითარება, მისი კულტურა შეუფერხებლათ მიდიოდეს წინ.

რადგანაც ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა ამ მიზნის განხორციელებას ხელს უშლის, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ჩვენ გვინდა, ჩვენ გვწყურია, ისე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენს საკუთარს ეროვნულ საქმეებს ჩვენივე დემოკრატია განაგებდეს.

ამით არც რუსეთის იმპერიის მთლიანობა დაირღვევა, არც რუსეთის დემოკრატიას დააკლდება რამე, ჩვენ-კი ბევრი რამ შეგვემატება.

ისეთ შინაურ წყობილებას, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ერის წინსვლელობას, სარჩულოთ უნდა დაედვას მარტო ჩვენი კულტურა კი არა, არამედ ჩვენი ტერიტორიაც, ჩვენი მიწა-წყალი: საქართველოში მცხოვრები ქართველი დემოკრატია საკუთარ ეროვნულ საქმეებს საკუთარს ტერიტორიაზე თვითონ უნდა აწარმოებდეს და განაგებდეს.

ამ გვარ წყობილებას მოკლე სახელათ უწოდებენ ტერიტორიალურ ავტონომიას.

ტერიტორიალური ავტონომია ერს დიდ უფლებას ანიჭებს თავის საკუთარ ტერიტორიაზე ერი არის სრული ბატონ-პატრონი. მას ექვემდებარებიან სხვა ეროვნებათა ის ნაწილებიც, რომლებიც იმის მიწაწყალზე დასახლებულან.

ამის მიხედვით ბევრი უარპყოფს ამგვარ ეროვნულ წყობილებას და მხარს უჭერს მეორეს კულტურულ ავტონომიას.

კულტურული ავტონომია პირველთან შე-

დარებით ერს ანიკებს ნაკლებ უფლებას: ასეთ წყობილებაში ერი არის ბატონ-პატრონი მხოლოდ თვისი ეროვნულ-კულტურული და წესებულებისა—სასწავლებლების, ეკლესიის, საქველმოქმედო საქმეების და სხ.

რომელს უნდა მიეზაროს ქართველი დემოკრატია—პირველს თუ მეორეს?

ცხადზედ ცხადია, ეროვნული დემოკრატია უნდა მიემხროს ისეთ ეროვნულ წყობილებას რომელიც მეტ უფლებას ანიკებს ერს თვისი სულიერი და ქონებრივი კულტურის გასათავისებლათ.

ეროვნულ უფლებათა ხელშეუხებლობა და სრული დაცვა ისეთი მარტივი, სანაზარო კემპარტებაა, როგორც პიროვნების, ხელშეუხებლობა და დაცვა.

თუ ყოველი ერის დემოკრატია თავგამოდებით იბრძვის პიროვნების ხელშეუხებლობისათვის, მით უმეტეს თავგამოდებით უნდა იბრძოდოს ყოველი დამოკიდებული ერის დემოკრატია ეროვნულ უფლებათა სრული აღდგენისა და დაცვისათვის.

ამას ითხოვს სალი მსჯელობა, ამას ითხოვს სამართლიანობა, ამას ითხოვს მთელი ერის კეთილდღეობა.

არც ერთი ერის დემოკრატია თვისის ნებით თავის უფლებებზე ხელს არ იღებს.

რატომ უნდა აიღოს მაინცა და მაინც ხელი ქართველი ერის დემოკრატია?

ეროვნული საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა ჩვენში დაუქვემდებარეს პარტიულ მოძღვრებას.

თუ კულტურულ ავტონომიას ვმხრობი, დასელი ხარ, თუ ტერიტორიალურს—ფედერალისტი,—ასე მსჯელობენ ჩვენში.

აქედან უბრალო მკითხველში ფეხი მოიკიდა შემდეგმა ყალბმა შეხედულებამ: თუ დასელი ხარ, უსათუოდ უნდა მიემხრო კულტურულ ავტონომიას და ებრძოდო ტერიტორიალურს, თუ დასელმა მხარი დაუჭირა ტერიტორიალურ ავტონომიას და უარყო კულტურული, ამით ის ეთიშება დასელებს და ხდება ფედერალისტი.

ასეთი ყალბი შეხედულების ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენში პარტიული ბრძოლა მეტად გამწვავებულია.

როდესაც ეს სიმწვავე დაცხრება, მაშინ უბრალო მკითხველისთვისაც ცხადი იქნება, რომ ეროვნული საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას დიდი კავშირი არა აქვს პარტიულ მოძღვრებასთან: შეიძლება ადამიანი კულტურულ ავტონომიას მიემხროს, მაგრამ ამავე დროს არც დასელი იყოს, არც ფედერალისტი, შეიძლება ტერიტორიალურს მიემხროს და ამავე დროს დასელი იყოს და არა ფედერალისტი და სხვ.

ყოველი ერის დემოკრატია ებრძვის ძალმომრეობას, დაჩაგვრას.

მაშასადამე ჩვენი დემოკრატია უნდა ცდილობდეს ეროვნული დაჩაგვრისა და ძალმომრეობის აღაგმვას.

იმ მიზანს კი უფრო ახორციელებს ტერიტორიალური ავტონომია, ვიდრე კულტურული.

მარქსის მოძღვრებაში არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც უარყოფდეს ამგვარ ეროვნულ წყობილებას და ეს ცხადიც არის. მარქსის მოძღვრება არის აღდგომა დაჩაგვრულთა და მჩაგვრელთა დამხობა, აღაგმვა ძალმომრეობისა და გამეფება თანასწორობისა და სამართლიანობისა ყველას საკეთილდღეოდ.

მარქსის მოძღვრებიდან თავის თავად გამომდინარეობს სრული თავისუფლება ყოველი ერისა

მარქსის მოძღვრებასთან დაკავშირება ამა თუ იმ სახის ავტონომიისა ყოველად შეუძლებელია.

საზოგადოთ ავტონომიური წყობილება მარქსის მოძღვრებას არ ეწინააღმდეგება და რომელს მიემხრობა ესა თუ ის დასელი, ეს არის მისი საკუთარი რწმენისა და აწონდაწონის საქმე.

*ვ. კ. მჭედლი*

## უ მ ა დ უ რ ნ ი

ქალი რომ... დაბერდება, მაქანკლობას მიჰყოფს ხელსო.

სწორედ ეს ამბავი მოგვაცოცხლდა, როდესაც მოგვესმა ჩვენს ოდესაც დამსახურებულ სცენის ქურუმს ვლ. აღ.-მესხიშვილს, ძვე-

ლად განთქმულ მესხთა შთამომავალს, ივენს საყვარელ ლადოს, ქუთაისში რუსული დასის მოყვანა და თვისივე ხელმძღვანელობით რუსული წარმოდგენების მართვა განუზრახავსა...

ეს ქორი გვეგონა, მაგრამ ამ დღეებში ისიც გვეუწყა, ვითომც ქუთაისის დრამ. საზ—ბა დახმარებას შეჰპირებოდეს...

როგორ ავსხნათ ერთის ან მეორის საქციელი?

სკოლა რომ გადაგვარებული გვაქვს, ეს თითქმის იძულებითია, ჩვენი ეკლესია რომ აღარ ჩვენობს—ამსაც თავისი ისტორიული საბაბი აქვს, უცხო დასნი თუ ნებისთ ანუ უნებლიეთ ჩვენს გადაგვარებას ხელს უწყობენ,—ესეც ჩვენს ძალას აღემატება, მაგრამ ჩვენი თეატრი—ეს ჩვენი ერთადერთი უწყმიდესი ეროვნული სამლოცველო თუ ჩვენი მოზარდი თაობის გადამგვარებლად შეიქმნებოდა. ამას ვეღარ წარმოვიდგენდით...

ესევე უნდა მოვიფიქროს ჩვენი ლადოს "მესხული თეატრი", რომელიც უნდა იქნას ქუთაისის თეატრის ეგვიპტური მას ფუნა შინა გონიერად დაეკარგოს და სპირიტუალური მემკვიდრეობის სახელით უნდა იქნას წარსულის ქართული თეატრის ისედაც გადაგვარების გზაზე — სემლარ ქართული თეატრიდან შექმნას რუსული დასის მუდმივი აუდიტორია...

ნუ თუ ვერც უბრალო იყო მთელი ქართველი ერისაგან მიძღვნილი დიდების გვირგვინი?

ნუ თუ ვერც არარაა ჩვენი ეროვნულ-ხალხური თეატრი, რომ მასში ვეღარ მოთავსებულა და იქ ვერ უწირნია, სადაც მისი თანამოძმენი თითქმის ნახევარი საუკუნეა თავგამოდებით მოღვაწეობენ...

განა ლადოს გამოცდილი ხელი და ნიჭი მოეჭარბა ჩვენს სცენას?

გაჭირვებამ მიიყვანა ამ გზამდებზე მაშკ. მესხმა რათ ირჩია შინ სიკვდილი, ბრწყინვალე მ. საფ.—აბაშიძისა, ყურით დასწრეულების ჟამსაც კი, სამშობლო სცენას რათ შერჩა თითქმის უბრალო მეტანისამოსედ, ვასო აბაშიძე რისთვისაა დღესაც ეროვნულ კერასცენაზე მიჯაჭული და მუზეუმის ვიწრო ქუჩაზე პაწა სახლში გამოიმწყვდეული, ვ. გუ-

ნია, ეს ბევრი ქირ-ვარმის მნახველი, სადაც ვერის ხეობაში ქერ-დაბალ სახლში შექყუტული, დასწრეულებული ვ. შალიკაშვილი, შალვა დადიანი და სხ. რისთვის არიან დღესაც მშობელ მეღობჟენის ტაძარზე მტკიცედ მიკრულნი...

ასეთი უზადურობა და შორს გაუმჭვრეტლობა?

და მერე რა დროს?!

თბილისის ქართ. თეატრის შენობა ცეცხლმა შთანთქა და მისი ქურუმნი განიზნენ, ქუთაისი ჩალიშობს ახალი თეატრის აგებას ბაქო საკუთარ თეატრს მოკლებულია, ბათომიც... და ყოველგვარ დაბრკოლების მიუხედავად, ქართველი მსახიობი ქაპანს ეწევა, რომ სამშობლო სცენის კერაზე ცეცხლი არ ჩაქრეს, როგორმე საკუთარი ეროვნული თეატრი შექმნას საკუთარი აუდიტორიით, და ამ დროს მათმა დიდმა შომაგვე ქურუმმა, უკაცრავად კი არ ვიყოთ, და თვისი ნიჭი მაქანკლობას უნდა მოახმაროს?!

თა თუ ამ განზრახვაზე ხელს არ აიღებს და შობილ კერას დაუბრუნდება, ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწის გარეგინს, ამ სახის შორს წინადაც მიუძღვნა და ქართველი თეატრის განვითარება—დღესაც კი უნდა იქნას გაუმსაძღვრება:

ვისაც ჩვენს საკუთარ თეატრს ქერ ქვემ არ ედგომილება—შორს ჩვენგან!..

ექიმი შტოკმანი.

# სევდის სტრუქონები

(მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი)

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 13)

## VII გ ა ნ ც ხ რ ე ბ ო დ ე თ.

უგალობეთ მზეს, განთიადისას: ის თქვენთვის აფრქვევს მრავალფერ სხივებს. უგალობეთ მზეს, მე კი ვერ უგალობ მას, მზე რომელიც თქვენთვის ანათებს ის ჩემს სულში წყვილიადს ამეფებს.

მიუტანეთ მსხვერპლი ახალ ღმერთს; რომლის სახება აღვიმართავთ ახლა მაღალ თხემს. მე კი ვერ ვიწამებ მას. თქვენ ღმერთს

ეძიებთ, კერას ეძიებს სული თქვენი, სული წარმართი?

მე კი მსურს მხოლოდ თვით ყოველ ჩვენგანს თავის სულში ეხილოს ღმერთი.

გაიფურჩქნეთ ვნების კუკურნი სიყვარულისთვის და გრძნობა თქვენი დაიამეთ ნაზ მწველ ალერსში, მე კი სიყვარულს ვპოვებ მხოლოდ ჩემს სიძულვილში. ნექტარი ღვინის მოათავსეთ მოვერცხლილ ყანაში, თასით ხელში თქვენ მიღწევთ სრულ ნექტარებას, მე კი ცრემლებში ვპოვებ მხოლოდ თავდავიწყებას.

სიმთა თრთოლვაში ნაღველს და სევდას გაიქარებთ თქვენს ფალმუნებში, მე კი ვივიწყებ სევდას ღუმელში.

განცხრებოდეთ! და ოდეს ნახოთ საფლავი ჩემი, სთქვიით: ვინც უარ ჰყო ეს ცხოვრება და თვით სწაღდა აღმართა ახალი ცხოვრების ძლიერი ბქენი, თვით ამ ცხოვრებით გულ-განგმირული იგი აქ ვპოვებ დანარცხებული.

**VIII ჰ ე ნ ე ტ ა ვ ი შ ე ნ !**

შემოდგომის მრისხანე ქარიშხლისაგან გაფანტულ ფოთლებსავით დაძრწიან და დაეხეტებიან ისინი ქვეყნის სივრცეზე და ჰგოდებენ თვის საშუღამოდ დაკარგულ სამშობლოზე. მოიჯონებინ წინაპართაგან ზღაპრად ნათქვამს, თუ რას ღუღუნებს იორდანის ტალღათა ჩქერი და უსაზღვრო სევდით ეცვებათ გული.

უცხოთა შორის ღვენილ-გვემულნი ელოდებიან თვის მხსნელ მესიას და მათ ნაღვლიან სახეს, ხან-გამოშვებით ეფინება შვების ღიმილი.

— ერო ღვენილო და წამებულო! სრასახლენი რომ ავიგია უცხოთა შორის, რათ გინდა, რათა? სამშობლო შენი გადაგავიწყდა?

— აქ მე ვვარჯიშობ მხოლოდ, რომ შევისწავლო, თუ რა რიგ სახით სჯობს აღდგინდეს სამშობლო ჩემი.

— და კიდევ ფიქრობ, რომ განახლდება შენი სამშობლო?

ნუ თუ კვლავ ფიქრობ, რომ მოისმენ იორდანის ტალღათა ნანას? კვლავ ელოდები, რომ შენს შვილთ შორის კვლავ გამოჩნდება მესია მხსნელი?..

ლოდესაგური, ჰო ველი, განახლების ჟამს, ველი რომ სიონის მთის მწვერვალები კვლავ მოისმენენ იუდელთა ძველსა ფსალმუნებს.

ეჰ, ნეტავი შენ! ნეტავი შენ, ერო ღვენილო ისრაელისავე, რომ სამშობლოს განახლების კიდევ სცოცხლობს იმედი შენში. მე კი დავსცქერი ნანგრევთ შორის დამსხვრეულ კერას და რომ განახლდეს, რომ კვლავ აღსდგეს ერი ივერი, ასე მგონია ამათ ველი.

მითხარით მაინც, გამაგებინეთ, თუ ოდესმე ჩემ ჩაგრულ მოძმეთ კვლავ ეღიბება ნეტარების და სიამის ღღენი?!

**IX ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ა .**

საღლაც მინახავს მწირის ხელით კლდის გულ-მკერდზე ამოქრილი წამების ჯვარი, სულის სიღრმეში მეც აღვაგე რწმენის ტაძარი, მაგრამ სიჩუმის რომ დაეცო ღიადი მცნება, მე იმ ტაძრისთვის ვერ ვიპოვე წმიდა მოძღვარი. და დაფანგრეი ხელთ უქმნელი წმიდა სამსხვერპლო.

სიყმაწვილეში ღელვილ ზღვაზე ერთხელ ვიხილე იმედის ნავი, მაგრამ რა ვქნა, რომ ჩემს მარტოობას თანამგზავრად ჰყავს ჰუღმივი სევდა?

და სიყვარულით თუ მირწვედენ უსუსურს აკვანს, თუ ღამის თევით მიმდგოდენ ტკბილ ხმაზე ნანას, ვის რა უმადლო როს სიძულვილით მიშხამავენ ყმაწვილურ ხანას?..

და დასერეს სული სევდით, გული ვაეზობათ, აღარც რწმენა მაქვს, აღარც იმედი და სიყვარულსაც აღარ ძალუძს, რომ შესცვალოს აწ ჩემი ბედი.

**X ა მ ა ო ძ ა ხ ი ლ ი .**

მახსოვს ყველანი...

მახსოვს სიქაბუკის ნექტარი ღღენი, რამოდენნი ვიყავით ერთად. ფუტურებივით დავფრინავდით ყვავილთა შორის ვცელქობდით, ვთამაშობდით.

საღლა არიან!

— ჰაუ, მეგობრებო.

არავინ იძლევა პასუხს.

რა იქნენ, ნუ თუ მოკვდენ ყველანი?

ნუ თუ ყველა დაეცა ცხოვრების ველზე უთანასწორო ბრძოლაში?

ნუ თუ ყველა იმსხვერპლა მწარე სინამ-

დელიემ? ნუ თუ ვერავინ დააღწია თავი ცხოვრების საშინელ ქარტეხილს?

ნუ თუ, ვით ალაწოდა, დელიელ ზღვის პირად, მე დავრჩი მარტო?

მე დავრჩი მარტო ამოდენ დამსხვრეულ სიცოცხლეთ შორის?

მეც ხომ დამემსხვრა ყოველივე, მეც ხომ დავკარგე?

მაშ რაღას ვდგევარ, ან ვისლა ველი?

— ჰაუ! ჰაუ! მეგობრებო! არვის გესმისთ ხმა ჩემი, ჰაუ! მეგობრებო!

არავის ესმის...

ამოდ ვუხმობ სიყრმის მეგობრებს.

არავის ესმის. ვით ალაწოდა დელიელ ზღვის პირად მარტო ვარ, მარტო.

*მთხ. ხომღორიძე*

### სადარაჯო რაზმი

(ნამდვილი ამბავი)

(დასურათბებული ლ. გულიაშვილის მიერ)

მარიაშნობაა. ქარბუქია, ყველა თავის კერას უზის. ერთი ხიზანის ჯალაბობაც თავის კერას გარს შემოსხდომია.

შუა ცეცხლი გიზ-გიზებს. საცეცხლურზე ყურბანი ქვაბი ჰკიდია, შიგ დედალი იხარშება.

ცეცხლის წინ ბანდოზე \*) ოჯახის უფროსი ზის, ყავარჯენს დაჰყრდნობია, მის გვერდით სამფეხა სკამზე ფეხ-შემოდებული მისივე მეზობელი წამოსკუპებულია და მუსაიფობენ ეხლანდელ ქირ-ვარამზე.

ერთ გვერდზე მისი მეუღლე ჩამოსჯდომია სართავ ყდებს, კალთაში ბავში უზის, თან საჩოხე შალსა ქსოვს. იქვე მისი გასათხოვარი ქალი წინდების ქსოვაშია გართული, იმზადებს, როდესაც თავის საქმროს წაჰყვება, მის ნათესავებს დაურიგებს.

მეორე მისი ქალიც მატყლს ართავს, დედას უმზადებს საჩოხე შალისთვის.

მეორე გვერდზე ამ ოჯახის რძალი ვარცლის წინ ხელებ გადაშლავებული ფქვილსა სტრის, ხშიადებს ამზადებს.

\*) ბანდო — ოსური სამფეხა ჩუქურთმიანი სავარძელი.

ცეცხლის ბოლოს შეშის ძელებზე მწყეცხლები სხედან და ერთმანეთს ელაზღანდარავენებიან.

ცეცხლზე კეცები აწყვია, ტაკა-ტაკუცი გააქვს.

სოფელში ძაღლის ყეფა ასტყდა.

ერთი მწყემსთავანი მიიბრუნს სანთლებთან და გაიხედავს.

— დედავ, დედავ! ყაზახები არიან! წამოიძახებს და თან გასცქერის.

ყველას ელდა ეცემა.

ოჯახის უფროსი წამოდგება, ესეც სანათურთან მივა დასარწმუნებლად, დაინახავს რა წითელ-ქუდიანებს, ესეც ნაწყვეტად ჩაილაპარაკებს:

— აკო გაგვიწყრა ღმერთი?

კარებთან ბრახუნი მოისმის, ძახილია:

— გააღეთ კარი!

ურდულს გადაუგდებენ და "მამასახლისი სადარაჯო რაზმით, 12 კაცით შემოვა დარბაზში.



ყველას შიში შეიპყრობს. ზოგი კასრს ამოფეარება, ზოგიც სართავს უკან ჩაჯდება და გულის ფანცქალით ლოდინში არიან.

ვარცლის წინ მდგომი დედაკაცი, ტიტველა მკლავებ ჩამოშვებული, თავ-დახრილი და დარცხვენილი ძირს ჩაიციკირება, ველარ მოუხერხებია, რომ სახლეები ჩამოიშალოს.

შემოსვლისათანავე მამასახლისი დაიძახებს:

— ადგილიდან არ დაიძრათ, სახლი უნდა გავჩხრიკოთ!

მამასახლისი და სადარაჯო რაზმი დაიწყებენ ჩხრეკას, მთელ დარბაზს ააქოთებენ.

სკივრებს თავებს ჰგლეჯენ და, რასაც მოასწრებენ ხელ-საკრავს, ხურჯინებში ალაგებენ; აღარ გაუშვეს წინდები, საჩოხე შალები, ბაღდადები, თავშოლები; ერთ სკივრში ნართის გორგალი ნახეს და ისიც ამოიღეს.

ოჯახის უფროსი მამასახლისს უსაყვედურებს:

— ნებას რათ აძლევ, რატომ არ უშლი, ნუ დამლუპავ!

— მე რა უშმიძლიან?—ოსურად ეტყვის: ამით ნაბრძანები აქვთ და, რაც უნდათ, იპას ასრულებენ.

— როგორ? მაშ უნდა გაგვცარცონ?!

— Что онъ тамъ солируетъ? ერთი წითელ-ქუდიანი მამასახლისს მიუბრუნდება.

ესეც ნალაპარაკებს გადასცემს.

— Что, ты еще разговариваешь?! ხელსა ჰკრავს და ტახტზე გადაჩხავს.

საჩოხე შალს, დედაკაცი რომ ქსოვდა და ჯერ დაუსრულებელი იყო, ორი რაზმელი მივა, შინჯვას დაუწყებენ.

— Для бошлыка достаточно будетъ. что ты на это скажешь, Петръ?

— Да, можно взять!

— ერთი ხანჯალს ამოიღებს, საჩოხე ძაფების წვერებს გადასჭრის, სადამდინაც მოქსოვილია, დანარჩენ ძაფებს იქ დაჭყრიან და, რომ საკბილოს ველარას იპოვნინ, ყველანი გავლენ.

ასე ამ რიგად მამასახლისი და სადარაჯო რაზმი დაივილიან მთელ სოფელს.

დაბრუნდებიან ნადავლით თავიანთ სადარაჯო ბინაზე.

იმ სოფელში, სადაც სადარაჯო რაზმი ბინადრობს, რამდენიმე გლეხის ოჯახში ყაზახები დაურიგებენ ნართების გორგლებს და სასტიკად გამოუცხადებენ, მოქსოვონ ხელთათმანები, წინდები ან საყაბალახები.

ერთი გლეხის ოჯახში ორი ყაზახი მივა და რამდენიმე გორგალ ნართს გადასცემს საყაბალახს მოსაქსოვად.

— მე საჩოხე შალის მოქსოვა არ ვიცი,

გარდა ამისა, არა მაქვს სართავი ყდები,—ეტყვის ამ ოჯახის ფეხ-მძიმე დედაკაცი.

— დედაკაცი, მაშ წინდები უნდა მოგვიქსოვო!

— ამ ნართის წვერით წინდა არ მოქსოვება, ეს საჩოხე შალისათვის არის დართული, დედაკაცი წვერს უჩვენებს ყაზახებს, აი, ნახეთ, ორი წვერით არის დართული.

— ჩვენ არ ვიცით, როგორც გინდა გააკეთე, წინდები კი უნდა მოგვიქსოვო, სიტყვას მოუჭრიან.

რა ჯანი აქვს, ნართებს დაიტოვებს.

ამ ფეხ-მძიმე დედაკაცს აგერ მესამე თვეა, ქმარი შორეული ციმბირში ჰყავს გაგზავნილი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე—, მთელი ოჯახი ამას დააწვა, ძუძუ მწოვარა ბავშვიც მოსაველელი ჰყავს, თუმცა მისთვის მამამთილი დაფუსფუსებს სახლში, ამას ბევრი არა შეუძლიან რა, სიბერისაგან დაუძღურებულა.

ღამეა.

ცეცხლის წინ მოკეცილა ფეხ-მძიმე დედაკაცი, გვერდზე აკვანი უდგია, მამამთილს კი ტახტზე სძინავს. ქრახი ჰკილია დედაბოძზე, მკრთალად ანათებს. დედაკაცი ფეხით აკვანს არწევს, ხელში წანდის ჩხირები უჭირავს, წინდასა ჰქსოვს.



— ეს მეხუთე წყვილსა ვქსოვ, ფიქრობს თავის თავად,—ნახევარი კიდევ დამრჩა მოსაქსოვი. ოხ, ღმერთო! როდის იქნება, იმ

მტარვალებს მოვრჩე?!... აგერ სამი თვეა, ჩემი მიხა, ჩემი პატრონი მამაშორეს, შორს უცხო ქვეყანაში უკრეს თავი, ვინ იქნება შენი პატრონი, ჩემო მიხა?!.. მწარედ მოსთქვამს და თან ქსოვს,—ნეტავ მოვესწრები კიდევ, რომ ველიროსო ჩემი მიხას ნახვას? როდის მოეღება ამ ტანჯვას ბოლო?!... ოხ, ღმერთო! გვაკმარე ამდენი ტანჯვა, ხელებს გაშლის და შეავედრებს:

— ღმერთო ძრიელო, გარდმოავლე ჩვენს ქვეყანას შენი აღსავე თვალი, შეგვინდე და დაგვიხსენ ამ მტარვალებისაგან! ღვთისმშობელო, შენც გვევედრები, ჩემი მიხა მშვილობით დამიბრუნო!

ერთი ძალუმად ამოიოხრებს და ისევ გაზავრძობს წინდის ქსოვას.

ჩაეძინება.

გამოიღვიძებს, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო და, რას დანახავს: ნართების გორგალი ცეცხლში გლია, ნახევრად დამწვარი და შეტრუსული.

— ვაიმე! წამოვარდება, წვდება გორგალს, გადმოავდებს.

— რაღა ექნა! შეღრიალებს და თავპირში ხელებს წაიშენს.

ბერი კაცი გამოიღვიძებს მის ღრიალზე, წამოვარდება.

— რა მოგივიდა, დედაკაცო?!.. რა დავემართა!

— რაღა რა მოგივიდა! დავიღუპენით, იმ მტარვალებს ველარ გაღურჩები, ვიღა იქნება ჩვენი მფარველი,—მწარედ შესჩივლებს მამამთილსა.

— გამაგებინე, რა იყო? აღარ იტყვი?..

— აი! ნახევრად დამწვარს ნართის გორგალს გადაუვდებს.

— ოჰ, ეს როგორ მოგივიდა?

— ძილში გადამვარდნია. რაღა გვეშველება, იმათ მათრახებს ვერ შეუძლებ!

ამასობაში ბავშვი გამოიღვიძებს, ატირდება. დედა ძუძუს მისცემს, მაგრამ მინც არ ჩუმდება, უყვავებს. ბერი კაცი მივა ცეცხლთან, სამფეხა სკამზე ჩამოჯდება და მწარე ფიქრებს მიეცემიან ორთავენი.

ღუმილია. თენდება.

გლების სადილობისას მივლენ ამ დედაკაცთან ორი ყაზახი და სტრაჟნიკი ორი, მოსთხოვენ წინდებს.

დედაკაცს ნაცრის ფერი ადევს, აკანკალებულის ხელით ოთხ წყვილ წინდას გადასცემს.

— იმ ნართების გორგლებს ამაზე მეტი არ გამოუვიდა? ეკითხება სტრაჟნიკი.

— გთხოვთ, თქვენ გენაცვალეთ, თქვენი პირიმეთ გადასცეთ მაგათ, რომ წუხელის ცეცხლში ჩამივარდა გორგალი, დამეწვა, არაფერი მბაღია, ვიყიღო მინც.

— Что она говорить? ეკითხება ყაზახი.

სტრაჟნიკი ნალაპარაკებს გადასცემს.

— Нѣтъ, она вретъ, хотѣла освободиться отъ работы и нарочно бросила въ огонь, надо ее проучить! მათრახს გადაჰკრავს, ქალი შეჰკვივლებს და ჩაიჩოქებს.



— Ты, стерва, не хотѣла работать, вотъ тебѣ еще разъ!

და ერთი კიდევ ღონივრად წიხლს ჩაჰკრავს.

— ვაიმე, მოვკვდი! დედაკაცს გული შეუწუხდება.

მეორე ღღეს ღოგინად ჩავარდება, რამდენისამე ღღის შემდეგ მუცელს თან გადაჰყვება.

დარჩებიან ღვთის ამარად ძუძუმწოვარა ბავშვი და ბერი კაცი.

Legatus.



# ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

## გ ა ნ თ ი ა ღ ი

შავ მანდილით შემოსილი  
 ცა აღისფრად იღებება  
 და მშობლიურ არე-მარეს  
 მზის სხივები ეფინება...  
 ღამე შავი, ღამე ბნელი  
 ცის კამარას ესალმება  
 და ჩაგრული მაშვრალთ კერა  
 კვლავ განთიადს ეგებება.  
 კ. ძიძაძე.

## მთვრალი მუხით

გულო დაწყნარდი! ვის რათ უნდა ჩემი გულისტქმა!  
 გულო დაწყნარდი! შაირის ტქმა გინდა თუ რის ტქმა!  
 გულო დაწყნარდი! ჩემი სწორი ვნახე მე დღესა;—  
 ისე ვარ თითქო წინ შარბათი თასით მედგესა.  
 ისე ვარ თითქო... თითქო ლექსი რამ დამეწეროს,  
 ისე ვარ თითქო მე ფსიხეი ვიყო, ის ეროს.  
 გულო დაწყნარდი! ვის რათ უნდა ჩემი გულისტქმა?  
 გულო დაწყნარდი,—შაირის ტქმა გინდა თუ რის ტქმა?  
 ბაბილინა

# ს ი ე გ ა რ უ ლ ი

ტრფიალების ნაზო სულო,  
 თავისუფლების ასულო,  
 სიცოცხლე და სიხარულო,  
 ჩემო წმინდა სიყვარულო.  
 გაიღვიძე...

ვიბრძოლო და ვიქართველო,—  
 ქართველობა ვისახელო:  
 მტერზე გული გავახელო  
 და ჩემ სისხლით ვადღეგრძელო  
 საქართველო!..

გაიღვიძე, მითხარ რამე,  
 გამიშუქე ბნელი ღამე,  
 თვალზე ცრემლი დამანამე,  
 მომეფერე და მაამე  
 გეთაყვანე.

აი, მაშინ, მე ბუნება  
 მუდამ წამს, რო მეუბნება:  
 „სიყვარულის არ გაქვს ნება,  
 მონობაში სული გდნება“,—  
 დადუმდება!..

გეთაყვანე მტკივა გული,  
 გული დამწვარ და დაგული,  
 რომ ვერ გიცქერ დაჩაგრული  
 მგონიხარ შენ დაკარგული  
 სიყვარული!..

დადუმდება შური, მტრობა,  
 გამეფდება ტყბილი გრძნობა,  
 დაჩაგრულის თანაგრძნობა,  
 ერთობა და კაცთა ძმობა  
 სანატრელი!..

სიყვარულო, გამიხსენე,  
 აღზღეგ მკვდრეთით, გამითენე)  
 შენთვის ქმნილსა მომეჩვენე  
 და გულს გულზე მომესვენე  
 რომ ვიბრძოლო. .

სანატრელო, ფრთა გაშალე,  
 შავი ფიქრი გამაცალე,  
 გულს სიკვდილი დაასწავლე,  
 უკვდავებას დაანაცვლე  
 რომ არ მოგკვდე... .

რომ არ მოგკვდე,—მტრობას ვდაგავ,  
 მონობისა სახეს ვკარგავ,  
 თვის უფლების დროშას ვქარგავ  
 და იმ დროშას ზე ვაქარგავ:  
 სიყვარული!..

დ. კობალი

# ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 13)

ათასში ერთს, თუ ერთგულ მუშაკს ხელი მოუკიდია ამ საქმისთვის, ჩვენს საზოგადოებას არ დაუფასებია მისი ღვაწლი და შრომა, გულცივად მოპურობია, თანატოლობის, გამხრეგებისა და წახალისების მაგივრად ხშირად გაუკიცხავს და დაუტინა კიდევ; მაკალითად, როგორც მოგვეჩვენა განსვენებულთ ლადო აღნიაშვილს (ქართულ მომღერალ-მკვლაველთა გუნდის პირველ დამაარსებელს და ამ საქმეში საძირკვლის ჩამურქელს), მოსტურს, ფილიპონ ქორიძეს (დასავლეთ საქართველოს კილოების გადასმდებს), რომელსაც სპეციალისტად სული აღმოხდა, იოსებ რატიანს (თუმცა უკანასკნელი უცხო ტომის ეკუთვნობდა, მაგრამ ჩვენი მუსიკა შეთვისებული ქმნიდა და თავდასხმით ღვაწლიც მიუძღვის ამ საქმეში) და სხვათა. ახლაც კი გვეყვანს ამ დარგში ნიჭიერი მუშაკნი, ამ საქმის გულშემატკივარნი, ზედმოწევნი და ღრმად მტოდნენი ჩვენი სიმღერა-გალობისა, მაგრამ რა ქმნიან?—მოგვეხსენებთ, უმატრობაში, უნათლდამობაში და უსახსრობაში უჩინარ ქუთ მათი სახელი!



ლ. აღნიაშვილი ი. რატიანი ფილ. ქორიძე  
თუ გამოჩნდა ვინმე და, ამ საქმით გატარებულმა, გაჭებდა, ავიდა თუ კარგად მოაწყო ქართულ სიმღერა-გალობის საქმე, ან უმატრობა უნარი გამოიჩინა და საზოგადოების ცოტათი უზრუნველდა დაიმსახურა, თქვენ მტერს დასდგომია იმისთანა დღე! შურითან და ღვაწდით აღფილიანი ამნაირ მუშაკისადმი, თავისივე ერთგული მეგობარ-ამხანაგნი და მსხლდებელნიც კი ხელის შეწყობის მაგივრად ჩაუფუშავენ საქმეს. ამ მხრივ ჩვენი მოწინავე და შეგებებული საზოგადოება ვერ იტყვის ჭეროვან სიტყვას, უზრუნველს არ აქტევს, რათა უზრუნველ ქუთს გულწრფელი და

საქმისთვის თავდადებულნი მუშაკნი. რასაკვირველია, ამ გვარ აუტანელ პირობებში მუშაკს მალე ეკარგება ენერჯია, უქარწყლდება სიყვარული საქმისადმი და უიმედობით დატანჯული მალე ანებებს თავს. ბევრი მაგალითი უოფილია, რომ დაუარსებიათ, შეუდგენიათ გუნდი, დაშლილია, ახლა კიდევ დაუწვიათ, კიდევ დაშლილია უსაღსრობისა და ლობჯარ-დამაარსებლების მუშაობის აუტანელ პირობებისა გამო!.. ქართულ სიმღერა-გალობის მუშაკი, ან ხელმძღვანელი ვერასოდეს ვერ იმადლიერებს ვერც საზოგადოებას და ვერც თავის თანამშრომელთ. თვით ქართულ მომღერალ-მკვლავლის მდგომარეობა და ბედი ხომ აუტანელი და კალმით აუწერელია.

ვიმეორებ წარმოუდგენელია სხვა რამ იყო ისეთი უნუკეშო, აწვილ-დაწვილი, გამოურკვევლი და უმატრობა მდგომარეობაში, როგორც იმყოფება ახლაც ქართულ სიმღერა-გალობის საქმე; თუმცა ბლამად და მადიანთაც სწერენ, და ამბობენ: ჩვენი მუსიკის წინმსწავლობა ეტუობა, განვითარების გზას ადგიათ და ახლაც მომავალში მთლიან ქართულ ოპერებსაც მოვისმენთა!.. ამაზედ ერთი ანდაცა მაგონდება: ჩვერ ბავშვი არ დაბადებულა, ახრამს არქმევდენთა. ჩვენი საქმეც სწორედ ასეა; ჭერ ჩვენი მუსიკა, მდიდარი ხალხური სიმღერა-გალობა, რომლის უცოდინრობაში ვართ ჩაფლულნი, ვერ შეგვისისხლდარცობია, ვერ შეგვიფიცობია, არა გვისწავლიან-რა, არა გავვიკეთებია-რა, ეს საქმე მაგარ ნადავზე ვერ დაგვიყენებია, თუ მრავლად არა, ერთი მაინც სამაგალითო, მუდმივი, რიგიანი და მწიბობ-ხმისანი მომღერალ-მკვლაველთა გუნდი ვერ დაგვიარსებია და ოპერებს კი ვეჭიდებთ?!  
არ ვიცი, როგორ უნდა აშენდეს სახლი უსაძირკველად!..

(გაგრძელება იქნება)  
მ. კახიძე

## ბ რ ი კ რ ტ ი

მაესა სამ მოქ. და ოთხ სურათად  
(დასასრული. იხ. „თ და ც.“ № 5—13)  
**მოამბედა მისაგი, სურათი მამორა**  
(სტენაზე მოსჩანს კარები, რომელსაც სხვილი ასობით აწერია: „კანტორა“. კანტორის შიგ-

ნით აზიან ილია ღუკინი და მუშების წარმომადგენლები, რომელთაც მოღვაწეობა აქვთ გამართული გაფიცვის და ბოიკოტის თაობაზე. შემოდის ზაფხია. ჩიხან-ჩიხან აცვია, თავზე ყაზახისი ქსურავს. თავისი და კესას ლოგინი ხურჯინივით გადაკიდებული აქვს მხარზე. ხელში ზატანა ბოხის უჭირავს. კანტონის კარების წინ დასდებს ლოგინს და ზედ დაჯდება).

**პ ა ვ ლ ი ა**

**პავლია.** ააშენა ღმერთმა ჩემი ხაზინი! კაი დროს გამომიყვანა „ასტავკაში“ პატარა სულს მეფითქვამ, თვარა დამადნო კაცი ამ წყეულმა ქალბატონმა. მაინც და ამ ოხერმა „პოლის ჩისტვამ“ თელათ გადამაშვლივა ფეხებზე ტყავი. რომ წამოვარდებოდი უთენია და დოუარდი ამ ოთახებს, სულ სლიგინ-სლიგინი გაჰქონდა ფეხებს. მართალია ფიქვები კი ამომადგებია ამ პოლის წმენდამ, მარა ეს პოლკა-მაზურკა კი მასწავლა გვარიანად ჩემმა ქალბატონმა. დალოცა ღმერთმა გიტარა კაი იცის ჩემმა კესამ და ბუზიკა. შევიკვრავ ერთ გემოზედ გამოკვარახქინებულ წულა-მესტს, დავაჯენ კესას, ვაკვრევიანებ ბუზიკას და მეც ქორივით ჩამოუსრიალებ. ბატონი არ შემეწუხებს და ქალბატონი. მართალია არც ფულები ამომტენს ჯიბეებს მარა, „ნიჩავო“, უბატონოთ ხომ ვიქნები. (შემოდის კესა. ქალბატონის ნახუქარი ზაფტო და შლიაზა ქსურავს. ხელში ძველი ჩემოდანი, ქაღვალ და მუზიკა უჭირავს. ზაფხია რა დაინახავს დატუბრთუდ კესას, მსწრაფად გადასტება ჩამოართმევს ჩემოდანს.)

**II**

**პავლია და კესა.**

**პავ.** ოო, „ზრასტი“, კესა, „ზრასტი!“ სადა ხარ, ბოშო, აქამდის? რაფა, კულში ქე მომყოლობდი და მერე სად ეშმაკებში დეიკარგი! შენ რაცხა გეზარება ქალბატონის გამოთხოვება, კესა ჩემო!.. (იღინის)

**კესა.** მეზარება კი არა, ბეჩა, დევიწვი სირცხვილით ქალი. რომ მოვდიოდი ქალბატონმა შემხედა.

**პავ.** მერე რაი, რომ შეგხედა!

**კესა.** მერე და გამლანძლა ქალი.

**პავ.** რაიო, ვითამ, რა მინდაო! რაფა,

არ ეყო რაც გადმოგვიკოტრილა დედამის სული! მის მოსამსახურები ხომ არ ვგონივართ კილა! ახლა „ასტავკაში“ ვართ გამოსული, კესა ჩემო, „ასტავკაში“. მერე რა მინდაო, რა გითხრა?

**კესა.** აყევი ეშმაკებს, შე უბედუროვო, და წადი ახლა და ისერიეო.

**პავ.** ვაი, მის პატრონს საცოდვარს. უბედური იგია რომე ჯორივით დაიარება. შვილი მას არ გააჩნია და ძირი. ცარიელი ფული გადააშენა ქირმა, რა თავში ვიხლი ფულს. კაცმა „ნეუყელი“ ერთი ვინმე არ უნდა დატიოს, რომე ხანდახან დოქს თავი წაუქციოს და დედამის შესანდობელი დალიოს. რა აქვს ახლა მაგენს საბედნიერო და სასიხარულო. ფული, მეტი არაფერი! მოკვდებიან ორივე ცოლქმარი და გეივლიან ტყვილა, რავარც პრასი. მაგენის ცხოვრება სულ „ფუსტიაკია“ ჩემო კესა.

**კესა.** ბეჩა, ღმერთი თუ არ მისცემს შვილს, მაგენმა რა ქნას!

**პავ.** რას ლაპარაკობ, ბოშო! შვილის გაჩენაში ღმერთს რა უნდა! ღმერთი კი არა კაცია გლახა, ჩემო კესა, კაცი!..

**კესა.** (მოგნებდა) კაია, ახლა პავლია, დედა ნუ მოგიკვდება, რაცხა სხვაზედ ილაპარაკე.

**პავ.** ვისზე ვილაპარაკო, ბოშო, შენზე კაი ვინა მყავს ახლა მე! (ზაუზა)

**კესა.** (ზაუზის შემდეგ ზაფხიას) ვითამ მორიგებით გაათავებენ საქმეს ეს ჩვენი ხაზინი და მუშები?

**პავ.** გაათავებენ აბა, რეიზა დეიბარა მუშები. ეგერ არიან ეხლა და სულ ტრუბაში აძვრენენ ილია ლუკოვიჩს.

**კესა.** ნეტა, ეს ბესარიონი რა იქნა, რატომ არ მოდის ანგარიშის მისაღებათ.

**პავ.** ანგარიში თვარა, ეილებს ხუთასიანებს. რაცხა შვიდი აბაზი ერგება და ქე მესწრება იმის შექმას. (ზაუზა)

**III**

**პავლია, კესა და ბესარიონი.**

**ბესარ.** (შემოდის ბესარიონი, რომელსაც ახალღუხზე ზაფტო აცვია, კარტუზიანი ქუდი ქსურავს. ხელში სხვა და სხვა წვრილი ხაბაკი

უჭირავს და სურგზედ ჯოგინი აქვს მოკიდებული.) რაფა, საქმე, ვაჟია, თუ ქალი?

**პავ.** ვაჟია, ვაჟი, ბესარიონ ნუ გეშინინან. მგონია აიხსნას ბოიკოტი და გაფიცვაც გათავდეს და რასჩოტის აღებაც არ დაგვიკირდეს, ვაჟი შენ ყოფილხარ, ჩემო ბესარიონ, რომ ამ ხელა ხაბაკი მოგიკიდებია. კაცი საკალბასე ხარ, ცალი ფეხი სამარეში გიღვია და კიღო კაი შეგძლებია! (კესა და ჰაფლია იფინიან)

**ბესარ.** (დამიღვით) ამიღე, ბიძია, სამასხროთ ამიღე. საკალბასე ვარ, მარა ბევრს შენისთანა საბიშკეტეს კიღო ვჯობივარ. ისე იცოცხლოს ბესარიონმა! რაფა, შენსავით რომ არ ვღლაბურცობ მიტომ ვარ საკალბასე?! მარტვა ლაპარაკში კი არ არის საქმე; «Нада дѣла, братъ, дѣла».

**პავ.** (იფინის) ვიხუმრე, ბესარიონ, ვიხუმრე.

**ბეს.** (ჰატარა ჰაუზა) ხუმრობას თავი დანებეთ ბიძია და საქმეზე ვილაპარაკოთ. რაფა საქმე, პავლია, შენ გეცოდინება. ვითამ მორიგებით გაათავებენ საქმეს ხაზეინი და მუშები? (მუშების ხმა კანტორიდან მოისმის) ეს მუხლი საფსებით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, თორემ ჩვენ იძულებული ვიქნებით მოლაპარაკება შევწყვიტოთ.

**ილია ლუკიჩის ხმა:** მოითმინეთ, მოითმინეთ. (ჰაფლია, კესა და ბესარიონი უურდაცქვეტილი მისჩერებთან კანტორის კარებს)

**კესა.** (შეფიქრანებული) პავლია, მგონი გლახათ მიღის საქმე და ჩემი ჯამაგირიც შენ ეიღე, მე კანტორაში არ შემოვალ, თვარა ილია ლუკიჩი გლახათ მეჯღანება.

**პავ.** რაფა გეჯღანებო! ერთი გაბედოს ტყვილა წარბის შექანება და იცოცხლოს პავლიამ მაგი მე დავგუნდაო «პრავილაზე!» რას ქვია მეჯღანებო! ჯერ ისე ხომ კაი საქონელია და დეიჯღანოს კაი გამოვა მისმა სიცოცხლემ. ჯღანს რაღა ჯღანვა უნდა!

**კესა.** მე საჩხუბრათ კი არ მითქვამს, ბეჩა!

**პავ.** რას ქვია საჩხუბარიო, სულ ქაქებს...

**ბეს.** (მიჩერებულია კანტორის კარებს და უფრს უგდებს) პავლია, მეიცა, ბოშო, რა დროს ჩხუბია, გამოგები რას ლაპარაკობენ.

**ილ. ლუკ. ხმა კანტორიდან:** ეს ყველა კარგი, მაგრამ მუშაობა კი რიგინი უნდა იყოს იცოდეთ.

**მუშების ხმა:** ნუ გეშინიანთ, იქნება. მუქთა ხორები ჩვენ სხეებიცა გვძულს.

**ბეს.** მგონია კარგათაა საქმე.

**პავ.** გევიმარჯვეთ არ უნდა ლაპარაკი.

**კესა.** დედაია, საყვარელო!

**ილ. ლუკ. ხმა (კანტორიდან)** მაშ საქმე გათავებულია.

**მუშების ხმა:** ხვალიდან ვიწყებთ მუშაობას.

**ბესარ.** პრაფა, მე და ჩემმა ღმერთმა, პრაფა!

**კესა.** რას გიხარინ, ბესარიონ!

**ბესარ.** იმე, რაფა არ გესმის რომ გვიმარჯვენ მუშებმა!

**კესა.** იგენმა გვიმარჯვენ თვარა ჩვენ რა მოგვივა, ვინ იცის.

**პავ.** მის ჯავრი ნუ გაქვს, კესა, ვერც ჩვენ გაგვცემენ ხმას. (კანტორის კარი გაიღება და გამოდინ მუშების წარმომადგენლები. მხიარულება ეტუობათ. ჰაფლია, კესა და ბესარიონი შემოეხვევიან მათ.)

IV

**პავლია, კესა, ბესარიონი და დელეგატები.**

**პავ.** (დელეგატებს) რაფა საქმის კარაბადინი! გევიმარჯვეთ, ბატონო?

**ერთი დელეგატი.** გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ, მაგრამ თქვენ რათ მოგროვილხართ აქ ხაბაკით?

**პავ.** იმე, ბოიკოტი რომ გამოუცხადდა ხაზეინს იმანაც ჯინაზე «რასჩოტი» გამოგვიცხადა და ამიზა ვართ აქანე.

**დელეგატი.** ჰო, აბა ესლა წადით ისევ თქვენ აღგილზედ და რიგინათ იმსახურეთ. თქვენც გამარჯვებული ხართ. ხაზეინი ხმასაც ვერ გაგვემთ... (დელეგატები გადინ)

**ბეს.** უჰ, თქვენ დაგენაცვლეთ ბიჭებო, მაღადეც!..

**პავ.** (ბესარიონს) ბესარიონ, აბა არიხინდება ისტეველ შენი კასრულები.

**კესა.** დედაია, საყვარელო, რა კაია!

**ბეს.** კესა, შენ დაგენაცვლეთ, ვიხსნა ბოიკოტი. აბა, პროშტი ახლა, პროშტი კესა მა-

ღარიჩათ. (ზაფხულის სტატებს სეფს კესას და ჩა-  
ჭკონის. შერე სეფში აიყვანს, ატრიალებს და  
ყვინის) გაუმარჯოს ერთობას.

**ბესარ.** (ქუდს მადლა ისფრის) პრავა, მე  
და ჩემმა ღმერთმა, პრავა!

ფ ა რ ლ ა

**გოგია**

# ქართული ეპიკები

გლახი რო სახლის აშენებას განიზრახავს,  
ჯერ ხე-ტყეს, ქვა-კირსა და სხვა მასალას  
შეამზადებს ხოლმე...

ჩვენ კი, ჩვენი ეროვნული ცხოვრების  
მოწყობას წინასწარ მასალის მოუმზადებლად  
ვფიქრობთ...

ვინ არ იცის, ერის ცხოვრებისა და წინ-  
მსვლელობისათვის მეურნეობა-მრეწველობის  
და ვაჭრობის აღორძინებასთან ერთად საჭიროა  
სამწერლო-სახელოვნო, სამუსიკო-სამხატვრო  
თუ ფილოსოფიური და მეცნიერების სხვადა-  
სხვა დარგთა განვითარება-გავრცელებაც.

ჩვენს მწერლობაში კი უფრო საპაექრო  
მიმართულება და მოღეჭეობაა გაბატონებუ-  
ლი, — ხოლო ყველა ის დარგი, გონების ღრმა  
კვალი და ხანგრძლივი შრომის ბეჭედი რო  
აზის და ადამიანთა სულიერ-ხორციელი სისრუ-  
ლე დაუსახავს მიზნად, სრულიად უყურადღე-  
ბოდ არის მიტოვებული...

ხანდინან, კანტიკუნტად თუ დაიბეჭდე-  
ბა სადმე რამე „სამეცნიერო“ წერილი, ისიც  
შემთხვევითი ხასიათისა და ისეთი ენით და-  
წერილი, რომ ქართველი მდაბიო მკითხველი  
ვერას გაიგებს, ხოლო უცხო ენით განვითა-  
რებული ხომ ამ ქართულად დაწერილს არც  
კი „იკადრებს“...

და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ წარსულში  
გვქონია რადაც: ქართული სჯულმეტყველო-  
ბის, საექიმო ხელოვნებისა თუ ფილოსოფიუ-  
რი ნაშრომების ნაკვალევი დღესაც მოიპო-  
ვება...

ქართველმა ერმა უძველესი დროიდანვე  
დაიმუშავა საკუთარი ყოფა-ცხოვრების საჭი-  
რო საფუძველნი და განვითარების უმაღლეს  
წერტილსაც მიახწევდა, ველურ ურდოთა

შემოსევას რომ არ დაერღვია მისი საკუთა-  
რი ეროვნულ-მოქალაქობრივი თვით არსე-  
ბობა...

საჭიროა თვით შემოქმედების სათავეს  
დავებრუნდეთ, საკუთარი არსებობის საფუ-  
ძველნი შევიმუშავოთ და განვავითაროთ, თო-  
რემ „საყვავ-ფარნელა“ გახდება ჩვენი მშობელი  
ანკელა!

ამ ჟამად ქართველ მკურნალთა შესახებ  
მოვილაპარაკოთ.

ქართული სამკურნალო ცოდნა რომ სა-  
ქართველოში აღორძინებული და გავრცელე-  
ბული ყოფილა, ამას ამტკიცებენ ხალხში დარ-  
ჩენილი ბევრი უებარი სამკურნალო საშუა-  
ლება და თვით ხალხური მკურნალები, რომ-  
ლებიც ხშირად გასაოცარ ოსტატობას იჩენ-  
დენ, განსაკუთრებით დოსტატობაში.

ვის არ გაუგონია ჯანაოზ-დოსტაქარი  
თურმანიძენი, ბაჯიაშვილი და სხ., რომლებიც  
ხშირად თვით „უკურნებელთა“ ჰკურნავ-  
დენ...

ჩვენი კარაბადინები ხომ ძველის-ძველი-  
დანვეა განთქმული. ერთი მათგანი (ქ. შ. წ.  
კ. ს. წიგნთსაცავში, № 1274), ექიმ ა. ია-  
შვილის გამოკვლევით, მუთონმეტე სუკუნეშია  
გადმოღებული, თამარ დიდის მეფობაში, რო-  
დესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძლიერად  
სდულდა და მწერლობა ფრთა-შესხმული იყო\*).  
ამ კარაბადინებში აღწერილია სამკურნალო  
საშუალებანი, ბალახ-ბულახი, მიწალი თუ  
სხვა ნივთიერებანი (რომლებიც მრავლად მო-  
იპოება ჩვენს ქვეყანაში) და ცხოვრების გო-  
ნიერული დარიგებანი...

ახალმა სამკურნალო მეცნიერებამ ეს  
ძველი კარაბადინები განდევნა და ახალი,  
ხალხისათვის გასაგებ-ხელმისაწვდენი კი თით-  
ქმის ვერაფერი შემოიღო...

აი, აქ ეხსნება ქართველ ექიმს ფართო  
ასპარეზი, რომ თავი ისახელოს და ერსაც  
არგოს რამე...

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა  
უყურადღებოდ არის მიტოვებული: ხალხი

\*) „Народ. Медич. въ Закав. кр.“ А. О.  
Ящвили 1904 წ. 84 გვ.

როგორ ცხოვრობს, რით იკვებება, თავს როგორ უვლის, ავადმყოფობას ანუ სენის წარმოშობა მიზეზებს რა გზით ებრძვის,—ყოველივე ეს ან არავის აფიქრებს, ანუ, ისიც იშვიათ ადგილებში, დიდ ფასად საშოვარ ფერშალ-ექიმზეა თავმინებებული...

ხოლო ეს ფერშალ-ექიმიანი ავადმყოფთ უცხოეთიდან შემოტანილ, ძვირად ნიყიდ წამლებით ქყირავენ, და იქვე რომ მრავალი იაფი სამკურნალო საშუალება, ბუნების მუქითი ძალა მოიპოვება,—ეს თითქმის აღარავინ უწყის...

გაპქრა ძველებური ხალხური, გამოცდილებითი მკურნალობა-დარიგება, ახალიც ვერ შევიდა ხალხში და დღეს სოფელში რამდენია მაგალითი, რომ ქალ-რძალი სიღარიბით ანუ სხვა მიზეზით, შვილიერობის მოსასპობად, უვიცთა რჩევა-ჩასმენით ფრიალ მაგნე საშუალებათ ხმარობს, რის გამოც ან სწრაფად ესალმება წუთი სოფელს, ანუ ისე დასნეულდება, რომ მთელ სიცოცხლეში გამწარდეს და გაამწაროს თავისი პატრონიც... რამდენია ისეთი ახალგაზდაც, რომ ავი სენით დასნეულდება, არ იცის როგორ იმკურნალოს, სენს მალავს, ანუ ოღნაე ვითომ თავს მოირჩენს, დაცოლ-შვილიანდება და შემდეგ მთელს თავის შთამომავლობას, მისხითი მისხითს დაასნეულებს!..

განა ძველთაგან ტყუილად არის ნათქვამი, რომ ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულშია?!

მხოლოდ ჩვენ არ ვიცით ეს და აგერ ჩვენი ხორციელ-სხეულებრივი დასნეულების შედეგი ცხადია: სულიერად დაეჩიავდით, დაეწვრილმანდით...

ვინ უნდა იზრუნოს ამაზე, თუ არა ქართველმა ექიმმა?

ამას წინად ექიმმა ღამბარაშვილმა ფრიალ საგულისხმო საქმის დაწყება ურჩია ქართველ ექიმებს, მაგრამ რჩევა მისი დარჩა ხმალ მლალადებლისა უდაბნოსა შინა!..

დღემდე ქართველ ექიმებს ვერ მოუხერხებიათ კავშირის შეკვრა, საკუთარი ორგანოს გამოცემა (ამ რამდენიმე წლის წინად კი ექ. ვ. ღამბაშიძემ გამოსცა „ქართული სამკურნალო ფურცელი“, ისიც ორი ნომერი, და

მხოლოდ საკუთარი წერილებით საესე). ასეთი ორგანოს გამოცემა ძლიერ დიდს სამსახურს გაუწევდა, როგორც ხალხში საჭირო კოდნა-დარიგების გავრცელებას, ისე სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებასა და ხალხში დარჩენილ სამკურნალო მცენარე-მწალთა თუ სხვათა შეკრება-შესწავლას...

ასეთი ორგანოს გამოცემა კი ძლიერ აღვილად შეეძლოთ.

მერე ნეტა საკმაოდ არ მოიპოვებოდნ ქართველი სწავლული ექიმები?

რუსეთში (1914 წ. 1 მაისის ანგარიშით) სავსი ქართველი ექიმა (მათში—14 ქალი)—სხვა ცნობით—რგასამდე, ზოგიერთ საგვარეულოდან, მაგ. ლორთქიფანიძეთაგან—შვიდია, ჯაფარიძეთაგან—6 და სხ. არა ერთსა და ორს ქართველ ექიმს დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს, სამკურნალო-სამეცნიერო მოღვაწეობაშიაც თვალსაჩინო წილი უძევს...

ხოლო კერძოდ თავის დაბეჩავებული ერისა და მეცნიერებისათვის ვინ რა გააკეთა?—ამაზე შემდეგ.

**იოსებ არიმათიელი**

**სელოვნების მოკლე ისტორია**

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 8)

**მხატვრული აღმოჩენანი.**

დიდა ხნის განმავლობაში კაცობრიობამ არ იცოდა რა ამ ქვეყნის ისტორიის და არც მისი ნაშთებისა. მხოლოდ ნაპოლეონის დროს, ფრანგთა ლაშქარს თან ახლდა მეცნიერები და მხატვრები, ამათ შეკრბეს და გამოიკვლიეს ეგვიპტის წარსული და შეადგინეს ეგვიპტის აღწერილობა. მაგრამ მათ გამოკვლევასაც წინ გადაუდგობდა ერთი დიდი დაბრკელება: ნაშთთა კედლები მოფარული იყო სხვა და სხვა წარწერილობით, სამარეებსა და აკლდამებში აღმოჩნდა აუარებელი ნაწერები ეტრატზე, მაგრამ მათი ამოკითხვა და გაგება შეუძლებელი იყო. ეგვიპტელები სამწიარ წესს ხმარობდნ წერაში. ეგვიპტე უძველესი მათ შორის იეროგლიფურია და სელოვნების ისტორიისათვის მეტი საუარადებობ

იეროგლიფები იყო, რადგან იგი ცნობრებისა და სხვა საგნების გამოსახულება იყო. ფრანგმა მეცნიერმა შამპოლიონმა (1790—1832) შესძლო იეროგლიფთა გამოცნობა და ამ გვარად ადგილი გაზდა მათი გადათარგმნა და ძველი ეგვიპტის ისტორიის აღდგენა. მას შემდეგია ეგვიპტოლოგიის თითქმის ფრანგულ მეცნიერების კუთვნილებად იქცა. შამპოლიონს მიჰყვნენ განთქმულნი შიველივარნი შარიეტი და მასპერე და დღესაც ჭარბში სპეციალური კომისიის ფრანგულ ინსტიტუტისა განაგრძობს ძველ ნაშთთა შესწავლას და გამოკვლევას.

**ხელოვნება გემფისის პერიოდისა.**

ეგვიპტის ხელოვნება დიდხანს ვითარდებოდა და ამ განვითარებაში სხვა და სხვა სახეს დებულობდა; ცვალებადი იყო. ასე, რომ ერთი პერიოდის ნახელოვნევი სრულიად არა ჰგავს მეორისას. ეს განხილავს თუ რომელ ადგილის ხელოვნებას ავიდებთ. მაგ. გემფისის სულ სხვა ნახელოვნევი წარმოადგენს და თიბაიდისა სულ სხვას.

გემფისის პერიოდი ცნობილია უფრო თავისი აკლამებით და ძეგლებით, რადგან ამ ეპოქის ტაძრებს ჩვენამდე წარ მოუღწევია. აქაურ ძეგლებს მეტად დიადი სახასიათა აქვს. პირამიდები—მეფეთა დასაკრძალავი—მეოთხე დინასტიის მეფეებისაგან არის აკებული; მათში ეგვიპტე უდიდესი 137 მეტრის სიმაღლეა; 100.000 კაცი უოგელ სამ თვის განმავლობაში ეცვლებოდა ერთი მეორეს და აშენებდნენ ამ პირამიდის მოკლი 30 წლის განმავლობაში. ამ პირამიდის ახლო მიწასე განთხმულია კლდეში გამოქანდაკებული უზარმაზარი სფინქსი, რომლის ცხვირსაც ორ მეტრამდე სიგრძე აქვს. ეგვიპტის ხელოვნება უოგელთვის იმასა ცდილობდა, რომ ბუმბერაზული რამ შეექმნა და ამ სიდიადით დაეტყველებინა მნახველის თვალად.

დიდ პირამიდების ახლო გემფისის ნეკროპოლისის (მკვდართა სამეფო). თითოეული მინიშნულთვანი საფლავი (მასტაბა) სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი ის ოთახები, სადა მნახველები მოდიან, სადა ამაღლებულია სტელა (საფლავის ქვა) და სრულდება ღვთის მსახურება; მეორეა სერაბი, ისეთი სადგური, სადა ჩაკეტილია სტატუები და გამოსახულება მიცვა-

ლებულთა და შესამეა საკრძალავი, აკლამა, აკლამაში მოსასვლელად ჭერ კლდეში ამოჭრილ ჭაში უნდა ჩაეშვათ და შემდეგ დერეფები გაიაროთ. თვით საკრძალავში კი საკრძალავის (ლუსკუმა), რომელშიც განისვენებს შემოურვილი გვამი, მუშია, ამ მუშიების დასაცავად კი უოგელთვის დიდის სიფრთხილით სდარაჯობდნენ, რომ არავის შეეგინებინა და შეეშვიკვლა.

ოთახების კედლები მოფენილია სხვა და სხვა მხატვრობით და ბარელიეფებით. თუ გვინდა, რომ მაშინდელ ქანდაკებათა ხასიათი ჩვენთვის უფრო ადვილი გასაგები იყოს, უნდა შევისწავლოთ ამ ოთახებში ნახოვნი ხისა და ქვის სტატუები და გამოსახულება ამ სამარეში დაკრძალულთა. ამას წინადა გიერაკომპოლისში ამავეს ბრინჯაოს საუცხოო სტატუები VII დინასტიისა. მათ შორის არის ისე საუცხოოდ შესრულებულიც, რომ საკვირველის სისწორით გადმოგვცემს სინამდვილეს. უოგელი წვრილმანი ისეა ჩამოსხმული, რომ სინამდვილის სურათსა ქმნის. ძველი ეგვიპტის ხელოვნანი საუცხოო პორტრეტისტებიც იყვნენ და ეს ახისნება იმ დროინდელ რელიგიურ რწმენით: ისინი თიქრობდნენ, უკეთუ ოდისმე მუშია დაიშალა, სამაგიეროდ მისი გამოსახულება შეინახება, ოდნად მსგავსება სინამდვილესთან ზედმიწევნითი უნდა იყოს და მაშინ მიცვალებულიც სამუდამო სიკვდილს ასტდება. ბარელიეფებზე და ნახატებში გამოსახულია ამ ქვენიური ცხოვრება მიცვალებულისა და აგრეთვე ზნე-ჩვეულებანი ძველის ეგვიპტისა. ეგვიპტის მხატვრობა ვერ იცნობს პერსპექტივისა და კოლორატის (ფერადობის) ხელოვნებას, იგი მხოლოდ ერთი მეორეზედ დიაფერებს ჩამოსახავს და ამითი მოქმედებს. ერთად კი კედლის ნათელი, დიაფერის მხატვრობა გამოდის და სრულიად არა გავს ამ დარგის დღევანდელ ნაწარმოებს არც შედგენილობით, შეთხზვით და არც ფერთა კარიკებულობით.

(გაგრძელება იქნება)

**შალვა დადიანი**





**ქუთაისის სახალხო** უნივერსიტეტის გამგეობამ კვირას, 13/III, „რადიო“-ში გამართა ლექცია. პირველად აკაკი ფაღვამ წაიკითხა მეტად საინტერესო თემაზე: „საქართველოს კულტურა მე-12 საუკუნეში.“ ამ კულტურის გამომხატველი იყო, სთქვა ლექტორმა, უკვდავი შოთა რუსთაველიო. და დაახასიათა მისი პოეზია. მან კარგად აღნიშნა მგონის შეხედულება სიყვარულზე, მეგობრობაზე, სიმშვენიერეზე, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურზე... ლექტორი ხმამაღლა კითხულობდა და ხალხს მოეწონა, თუმცა, ჩვენის აზრით, ძალიან გძელი ლექცია გამოდგა...

მეორე ლექტორად გამოვიდა ბ. ალ. გარსევანი-შვილი, სახალხო უნ-ტის თემგვარდამარე. მან მსმენელთა სურვილით მეორედ წაიკითხა ლექცია „ფინური ლიტერატურა და პრესა 19 ს-ში, როგორც ამ ქვეყნის კულტურის დამახასიათებელი“. ეს ლექცია წაკითხულ იქმნა მუსიკალური დემონსტრაციით. ლექცია მეტად შინაარსიანი გამოდგა და მსმენელებს ძალიან მოეწონათ. მეორე აუდიტორია სმენად გადიქცა, როცა სიმებიანი ორკესტრი ლექტორის ლოტბარობით შეუდგა შუბერტის მელოდიის დაკრას. „ნანინა“ შუბერტისა მეტად გავრცელებულია ფინლანდიაში. შემდეგ პატივცემულმა ლექტორმა წაიკითხა დიდებულ მგონს რუნებერგის ლექსი „სამშობლო მხარე“ და სთქვა, რომ იგი ნოტებზე გადაღებულია და ფინლანდიაში სახალხო ჰიმნად მიღებულია. ორკესტრმა დაუკრა ეს ჰიმნი და მსმენელთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ლექტორმა დაახასიათა ზოგიერთი მგონსი, რომელიც ეკუთვნის რუნებერგის სკოლას. ერთ-ერთი ლექსი ნოტებზე გადაღებული სიმებიანმა კვარტეტმა საუცხვოდ შესრულა. დასასრულ ზელმეორედ მოიხსენია ლექტორმა ფინლანდიის ლიტერატურის დამამშვენიებელი მგონსი რუნებერგი და ორკესტრმა დაუკრა ის მარში, რომელსაც ფინები უკრავდნენ მგონის ძეგლის კურთხევის დროს. მთელმა აუდიტორიამ მსურველე ტაშის ცემით დააჯილდოვა ბ. ალ. გარსევანი-შვილი. მრავალი ხალხი დღესწრო.

მსმენელი №

**სახალხო სახლში** კვირას, 20 მარტს, შუ-ღლით სახ. არს. წრემ წარმოადგინა 4 მოქ. დრ. „ქრისტიანე“. აღსანიშნავია ქრისტიანეს აღმასრულებელი დახელოვნებული სცენის მოყვარე ქ. ანკარა, რომელმაც ნათლად გვაგრძობინა ქრისტიანეს სულის კვეთება; კარგები იყვნენ: გოცირიძე, მეტრეველი და მინდიაშვილი. ქ. ჯავახიშვილის (მარიკა) გურული კილო ბუნებრივი არ იყო, „მამაშას“ როლი კი მშვენიერად შესრულა; ქ.

მკვლევარს დიდი ნიჭი ეტყობა, როგორც ამ ორჯელ სცენაზე გამოსვლით გვიჩვენა. დანარჩენი მოიფსტებდნენ. საკვირველი ხასიათის კარები (I და II მოქ.) თავის თავად იხურებოდა, ხან კი იღებოდა. ვეფხო

**ძ. სიღნაღში** შაბათს, 5/III ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან მოწყობილ იქმნა საღამო—წარმოდგენა ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის 30 წ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად. ადგილობრივ მომუშავე ქართულ წარმოდგენების მმართველს, ახლად ფესვდებულს, მაგრამ ძლიერის ღონით სავსეს, წრეს—წინდაწინვე კარგად მოეფიქრა საღამოს მოწყობა: მოდღესასწაულის გარდა, მოწვეულ იყვნენ ვასო აბაშიძე და სოსო ივანიძე, რომელთაც 4 მარტს მელაანის სადგურზედვე შეეგება დეპუტაცია. ამ წრის წარმომადგენელი ბ. ვ. ვიდიგარაშვილი (მასთანვე იყო, სხვათა შორის, ქ-ნი ნ. ანდრონიკაშვილი) გრძნობით სავსე სიტყვით მიესალმა სტუმრებს. 5 მარტს „ახალ კლუბის“ დარბაზში, დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. კლუბის დარბაზში მშვენიერად იყო მორთული—მწვენი დაფნის რტოებით და ფათალოთი. წარმოდგენამ („ხანუმა“) დალოცვილ ელ. ჩერქეზიშვილის, ვასო აბაშიძის და სოსო ივანიძის მონაწილეობით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. დანარჩენ სცენის მოყვარათაც პირნათლად შესასრულეს თვისი მოვალეობა. კარგნი იყვნენ ქ-ნი მ. ტყავაძისა, ან. მოსულიშვილისა, და ბ-ნნი ს. გომელაური და ს. შავლიაშვილი.

წარმოდგენის დასასრულს სცენაზე გამოიყვანეს ელ. ჩერქეზიშვილი. საზოგადოებამ დიდის ვაშას ძახილით დააჯილდოვა... მიართვეს სხვადასხვა ნობათ-საჩუქრები. ქ. შ. წ. გ. საზოგადოების მხრით პატარა, მაგრამ გრძნობიერი სიტყვით მიჰმართა ექიმმა ნ. ჯანდიერმა, ბოლოს ადგილობრივი წრისა და ახალგაზღვათა სახელით მიესალმა სტ. ილ. მოსაშვილი.

საღამო დიდი ზეიმით დამთავრდა. ბევრი უბილეთობის გამო უკანვე დაბრუნდა... დარბაზში ტევა არ იყო... დიდად ნასიამოვნები საზოგადოება შუაღამის 2 საათზე დაიშალა. ი—ლი

**„ბერდო ზმანია“**, სანდრო შანშიაშვილისა, ავტორის მიერ 25-/III, ახ. კლ.“-ში წაკითხული, სიმბოლიური ნაწარმოებია, დრამატიულ ყაიდაზე დაწერილი, სიკვდილ-სიცოცხლისა და მსოფლიო ამაოების შესახებ: ადამიანმა რაც უნდა „იფაფხუროს“, ბოლოს მაინც ბედის მწერალი სიკვდილით მოსპობს,—თურმე ადამიანი კი არა ჰქმნის თავის ბედს, არამედ ადამიანი ყოფილა ბედის სათამაშო ბურთი,—აი „ბერდო ზმანია“ დასკვნა. ერთის მოსმენით, რალაც ბუნდოვანად ეჩვენება კაცს, შიგა და შიგ-კი საუცხოვო ლექსთა წყობაა, მშვენიერი შედარებანი, მაგრამ საერთოდ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი. თითქო ნაწარმოები ღრმად არ არის აწონილ-განცდილი. ასეთი აჩქარება არ შეეფერება დამახაზებულ ავტორს. ნაწარმოებმა თუ სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ამაში თვით ავტორის უშნო კითხვასა მიუძღვის ბრალი. დასურა-

თებულის ახალგაზდა მხატვრის ე. ს.—ერისთავის მიერ, ეს ფრიად საამო მოვლენაა: ეგება ქართველმა მხატვრებმა უფრო ბევრითაღ მიჰყონ ხელი მშობლიურ ნაწარმოებთა დასურათხატებას. დილა მოწყობილი იყო ქართ, სიტყვა-კაზმ. საზოგადოების მიერ, რაიც სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს: ძლივს, საზოგადოება იღვიძებს, მაგრამ ის კი ვერაფერია, რომ „არისტოკრატიული“ ფასები დაენიშნა, რითაც მდობიოთ და მოწაფეთ დილაზე დასწრების საშუალება მოესპო, საზოგადოება საშუალოდ დაესწრო.

**უსავანო.**

**კომპ. ძ. ფოცხვერაშვილი,** როგორც სჩანს, მშობლიურ მუსიკას ამირანად მოვლენია: ჰსურს მგზნებარე სიტყვა-მუსიკით აღაგზნოს თვით ურწმუნოთა გულნიც და დაარწმუნოს, რომ ჩვენი ხალხური სიმღერა-გალობა დიდი ყურადღების ღირსია თვით დაწინაურებულ ერთგანაც, რადგან მასში მოიპოვება ბევრი ისეთი რამ, რაც სხვა ერთ არ მოეპოვებათ: „ქართული კონტრაპუნქტი უფრო მალა სდგას, ვიდრე დღემდე შექმნილი ევროპიული კონტრაპუნქტი, რითმი ქართული მუსიკისა გენიოსურია, ევროპიული კი ბავშური (?) და აღმოსავლეთის მუსიკის რითმაზედაც მალა სდგას... გურიის სიმღერებს შერჩენია უმაღლესი ფორმები რითმისა, ჰარმონისა“. დამსწრე მსწენელთ მაგალითებით უჩვენა რა მარგალიტები იპოება ჩვენს მუსიკაში (გრამაფონით ამღერა გურული „ხელზავი“, „ორი შაში“ „იერიში“) და როგორ შეუძლებელია, უცხოელი ჩასწვდეს ჩვენი მუსიკის სიმშვენიერე-სილამაზეს და ბევრათა მრავალ-გვარობას. დამსწრეთ უჩვენა როგორ იკითხება სახარება (თუმცა მღვდლებმა წაიჩურყულეს—უკეთესად შეიძლება) და სხ. გარდა ამისა, პატივ. კომპოზიტორმა ამავე საღამოში მონაწილეობა მიიღებინა სხვა და სხვა ჰანგის (სობრანო, ტენორი, ბასი) ქართველ მომღერალ-დამკვრელთ. დებმა შავერაზაშვილებმა საამო შთაბეჭდილება მოახდინეს თვისი ნიჭით და ცოდნით: ერთმა ფორტპიანოზე ხელოვნურად დაუკრა კ. ფოცხვერაშვილის „თქმულება ამირანზე“. ხოლო მეორემ (სობრანო) მოხდენით იმღერა „ნათელას სიმღერა“ და „ჩანგური“ (კ. ფოცხვერაშვილისა), „მზე შინაო“ და „ორაველა“ (არაყიშვილისა). მეტად ტკბილი, ნორჩი ხმა აქვს ბ-ნ ტუმბურიძეს (ტენორი), რომელიც საგანგებოდ ბაქოიდან იყო ჩამოსული. შესარულა ირაკლის არია („აღლათი“, იპოლ.—ივანოვის), გოჩას არია („თამარ ტიფორიდან“ მ, ბლანჩივიძის) და „მთა წმინდა“ (კ ფოცხვერაშვილის და შარბიძის, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე, ბ ნ ლეყავის (ბასი) მძლავრი. მოქნილი და უკვე დამუშავებული ხმა აქვს. დიდი ოსტატობით შეასრულა „ველეგია“ (იპ-ივანოვისა) და „დავრომილი სნეული“ (ყარაშვილის) ყველა მონაწილენი საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

საჭიროა აქვე აღენიშნოთ, რომ ფ—ლის ლექციის პირველი ნაწილი უფრო განყენებული, საეგებო დებულებებით იყო გადაჭარბებული, სამაგიეროდ მეორე ნაწილი—შინაარსიანი, ნათელი და მკაფიო, მაგრამ თავის თავზე რომ ნაკლები ელაპარაკანა,, ყოველივე თქმული (ევროპიული და ჩვენებური მუსიკის შესახებ) ჩვენი და ევროპიის მუსიკალურ ნიმუშთა შესრულებით რომ ეჩვენებინა და რიხი, სხვათა არარად ჩადგება არ დაეწყო გაცილებით ემგობინებოდა. მიუხედავად ამისა, მრავლად შეკრებილმა საზოგადოებამს(საარტ. საზ. დარბაზში) დიდის ყურადღებით მოისმინა ეს პირველი მუსიკა—სიტყვაობა, რაიც გათავდა საშუალამევის 1 ს. სიმი,

**წვერილი ამბები**

◆ **ბათოში,** აღდგომის მესამე დღეს, 12 აპრილს, წარმოადგენილი იქნება ადგილობრივი ჩვენის მოყვარეთა წრის მიერ ვანო ბარველის ისტ. კომედია მეფე ერეკლეს დროიდან „გამარჯვებული“, ბებურა ვაჩნაძის როლს შეასრულებს კ. მუსურიძე. კვირაცხოვლობას 17 აპრილს დამსახურებულ მსახიობ ვალგუნას საგასტროლოდ წარმოადგენილს იქნება „გაზა“ ფხულის ნიაღვარი კოსტროტოვისა. 24 აპრილს—ერისთავის „სამშობლო“, ა. მურუსიძის მონაწილეობით. 1 მაისს ერისთავ-ხომტარიას რომანიდან გარიკის მიერ გადმოკეთებული „მოლიბულ გზაზე“, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი მ. მდივანი და ა. მურუსიძე.

**ჩვენის კანსუხი.**

„**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**“, იოსებ იმედაშვილისა, უკვე იბეჭდება. ახალ ხელის მომწერთ **2 მ. და 50 ძ.** უნდა გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: **Тифлисъ, рел. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.** პირადათ ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, მადათოვის კუნძულზე. ვორონცოვის ორ ხიდ შუა. წიგნი გამოსვლისათანავე დაურიგდება ხელის მომწერთ.

**ჰიშიაქინი,** ბ-ნ ნიკ. ჩიქოვანს. თქვენ მიერ ადგილობრივ შეკრებილი და გამოგზავნილი 30 მან. მივიღეთ, რისთვისც უზომოდ გმადლობთ. გთხოვთ განაგრძოთ ხელის მომწერთა მიღება (უზომო ხარჯების გამო, ლექსიკონი თებერვლიდან ხელის მომწერთათვის ეღირება 2 მან. 50 კაპ.)

**ბალდადი.** მასწ. ქალს ნ. ფ—ძეს. კიდევ შეიძლება ხელის მოწერა ჩვენს რედაქციაში.

**კაპკაპი** გ. დავითაშვილს. ბეჭდვა ჯერ არ დამთავრებულა. გამოსვლისათანავე გამოგვგზავნებათ.

**რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**

უკვე იბეჭდება  
ვეელსათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებმრავი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკარის ყდაში, მოთქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილ ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ეამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კაპ.)

ხელის მოწერა მიიღება: უფრ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“  
Иос. Имедашвили.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სწრათმზიანი უფრნალი იშპორისტული განყოფილებით, შარქებით და კარიკატურებით

წლიურად  
მართება

### „თეატრი და ცხოვრება“

წლიური გამოცემის მართება

1916 წელსაც გამოვა

წლიურად  
5 მან.  
ნახ. წლ.  
8 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

უფრნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა  
უფრნალში ხუთასამდე სწრათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ.; მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუძმ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სხ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. ნ—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი

# ავლაბრის თეატრ-პალასი

ადღვათის ორშაბათს, 11 აპრილს  
სცენის მოყვარეთა მიერ წარედგენილი იქნე-  
ბა პირველად ქართ. სცენაზე ცნობ. ოპერეტა

## “არშინ მალ-ალან”

4 მოქ. უზერ ბეგ ვაჯიმბეგოვისა, თარგ. ვანო  
გიგოშვილისა. სახანდარი მეთარე ალესკერო-  
ვის მონაწილეობით.

ბილეთები თეატრის კასაში იყიდება.  
რეჟ. ალესკეროვი. გამგე ვ. გოგიშვილი.

გამართულია ხელის მოწერა

## კიკნა-ფუაველის

პლემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე,  
რომელსაც დავითის სურათი, ბიოგრაფია და  
დ. პასრაძის გრიტიკული წერილი. ხელის მო-  
წერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში.

## ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებულა, საუცხოოდ მოწყო-  
ბილი. სუფთა, ელექტრონის სინათლით  
ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან  
ნომრები ოთხი აბანიდან. ნომრებში სამზა-  
რეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და  
ანნა). თბ. მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ)

## „განათლება“

ქუჩა-გაზეთებს  
კანტონს

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

გაზეთებს აკეტებს: „თეატრი და ცხოვ-  
რება“, „თან. აზრი“, „რუს. მათრახი“, „საქარ-  
თველი“, „Тифлисский Листок“, „Рус-  
ское Слово“, „გორიზონტი“, კუდჯის კადენ-  
დები და სს და სს. ქართული წიგნები. ფულის  
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ად-  
რესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96,  
С. Таварткиладзе.

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.

## Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. иъ представл. на сцен. Кавк. Края. и. Офиц.

Тифлисъ Цевзурный Комитетъ

Донаволено Военной Цензурой სტამბა „ორაპანა“